საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თოფანქჩიაღასი

თუფანგჩიაღასი, თუფენქჩიაღასი, (თურქ. tüfenkçi – მეთოფე, ağa – უფროსი), მეთოფეთა უფროსი. ირანში შაჰ-აბას I-ის დროს ჩამოყალიბდა მუდმივი ჯარი, რ-ის შემადგენლობაში შედიოდა თოფანქჩიების (მეთოფეთა) 12000-კაციანი კორპუსი. სათათბირო ორგანოში – „უმაღლეს მეჯლისში" – შედიოდა 7 „სახელმწიფოს საყრდენი" დიდი მოხელე, რ-თაგან ერთი თ. იყო. ეს თანამდებობა ირანში ქართველებსაც ეკავათ (XVIII ს-ში თ. იყო როსტომ-ხან სააკაძე აგრეთვე მისი დისწული – პოეტი ქაიხოსრო-ხან ქართველი). ოსმალეთში თოფით შეიარაღებულ იენიჩარებს თუფენქჩი ეწოდებოდა.

ლიტ.: ფ უ თ უ რ ი ძ ე ვ., ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.